ცნობის ფურცელი

№ 1763 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ორშაბათი, 25 მარტი № 1763

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში კახის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები „რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი **№ 372**.

„ცნობის ფურცლის“ მე-1764 №-რი გამოვა ოთხშაბათს, 27 მარტს

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რქევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—18)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 11—2 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274 (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ბათუმში

ამა მარტის 10-დან გაიხსნა პირველ ხარისხოვანი საუკეთესო

სასტუმრო „ორიენტალ“,

რომელიც მოთავსებულია საგანგებოდ აშენებულ სახლში ნავთსადგურის პირდაპირ, ზღვის პირად. სასტუმრო მშვენიერად მოწყობილ-მორთულია; განათება ელექტრონული; ზღვის აბანო; საუკეთესო მზარეული; მოსამსახურენი—თავაზიანი და მარჯვე. **ფასები იაფი** ყველაფერზე. ტელეფონი № 141.

(515—3) სასტუმროს პატრონი **ე. ზერმენიშვილი**

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ტელეფონი № 642.

ახალი ამბავი

◆ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა მოხსენება, რომლის ძალით 1902 წლიდან ყოველწლივ გადადებულ უნდა იქმნას 8790 მან. კავკასიის **საარხეოგრაფიო კომისიის** შესანახად.

◆ გუშინ, დილის 11 საათზე, გაიხსნა მორიგი წლიური **კრება ტფილისის სამეურნეო ბანკის წევრებისა.** კრების თავჯდომარედ არჩეულ იქმნა თავ. ზ. ო. ჩოლოყაშვილი, ხოლო მდივნად თავ. ლ. ჩერქეზიშვილი. პირველად კრებას მოხსენდა ბანკის მოქმედების ანგარიში გასულ წლის განმავლობაში და სარევიზიო აქტი ამ ანგარიშის შესახებ. სარევიზიო მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. კრებამ მხოლოდ ერთი მუხლი შეიწყნარა ამ მოხსენებისა; სახელდობრ ის, რომ იმ წევრის შეტანილი ფული, რომელიც საზოგადოებიდან გამოდის, უთუოდ 6 თვისა და 10 დღის შემდეგ უნდა გამოირიცხოს ძირითად თანხიდან. დანარჩენი შენიშვნები სარევიზიო კომისიისა კრებამ უყურადღებოდ დასტოვა და დაამტკიცა ანგარიში. დილის სხდომა გაგრძელდა 4 საათამდის და დანარჩენ საქმეთა განხილვა გადიდვა საღამომდე. საღამოს კრებაზე ბანკის გამგედ ისევ ბ. განძიელი აირჩიეს.

◆ გუშინ, 24 მარტს, ტფ. საკრებულოს დარბაზში, სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგის ბ-ნ ლემერმანის თავმჯდომარეობით შესდგა წლიური საზოგადო კრება ტფილისის **საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა**; დაესწრო 260-მდე წევრი. კრებამ დაამტკიცა საზოგადოების გამგეობის 1901 წლის ანგარიში და მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. კრების დასასრულ შეუდგნენ არჩევნებს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარისა, ერთის დირექტორისა, საბჭოს ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრებისას. გამგეობის თავჯდომარედ კენჭის ყრით ამორჩეულ იქმნა ისევ ა. ა. იონესიანი (469 თეთრი და 52 შავი კენჭი), დირექტორად თავ. გ. მ. თუმანოვი (473 ხმით წინააღმდეგ 47 ხმისა), საბჭოს წევრად დასახელებულ იქმნა ოთხი კანდიდატი; ამათგან 328 ხმით წინააღმდეგ 192 ხმ. ამორჩეულ იქმნა თავ. დ. ნ. თუმანოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ პ. ა. ოპოჩინინი (378 თ. 142 შ.), ვ. გ. კანდურალოვი (331 თ. 282 შ.) და ი. ი. ტერ-მიქელოვი (338 თ. 182 შ.)

◆ დღეს, 25 მარტს, დილის 11 საათზე, ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროს თავმჯდომარის ბ-ნ ვრასსკის თავმჯდომარეობით მოხდება საზოგადო კრება **მცირე წლოვან დამნაშავეთა** გამასწორებელ ახალშენის მზრუნველ საზოგადოების წევრთა. კრებას განსახილველად აქვს საზოგადოების 1901 წლის მოქმედების ანგარიში, მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა საქმეები.

◆ 7 აპრილისთვის დაინიშნა საზოგადო კრება ტფილისის **საკრედიტო საზოგადოების** წევრთა. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობის თავმჯდომარე გარდაცვალებულის ანტონ ყორღანოვის მაგიერ.

◆ 23 მარტს, საღამოთი, კავკასიის სამხედრო შტაბის დარბაზში, კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწის ა. ა. ფრეზეს თავმჯდომარეობით კრება ჰქონდათ **გეოგრაფიულ საზოგადოების** კავკასიის განყოფილების წევრთ. კრებაზე კაპიტანმა პოდოზერსკიმ და შტაბს-კაპიტანმა ნიკიტინმა წაიკითხეს თავიანთი გამოკვლევანი სოხუმის მაზრის სამხღვარზე საყინულეს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებზე. შემდეგ საყურადღებო ცნობები წარუდგინა კრებას შემახის მიწის ძვრის შესახებ პეტერბურგის გეოლოგიურ კომიტეტისაგან მიწის ძვრის გამოსაკვლევად გამოგზავნილმა ვალ. ნიკ. ვებერმა. კრების დასასრულ ამორჩეულ იქმნენ საზოგადოების ნამდვილ წევრებად ბ-ნ ბარსოვი, ერმოლაევი, ზაჩინიაევი, ივანოვი, ნიკიტინი, სტეფანოვი, ტკაჩევი, ა. ხახანაშვილი და ცისსი.

◆ მარტის 23-ს, დიდუბეში, შერემეტევის ქუჩაზე, შუადღის ორ საათზე, სხვა ყმაწვილებთა შორის თამაშობდა სამი წლის ქალი ლიდა ოყუჯავასი, ქერა-თმიანი; თმა ავარცხნილი ჰქონდა და შეკრული; ზედ ეცვა ნაცრისფერი ზოლებიანი კაბა, შავი ჩულქები და ჩუსტები. თამაშობის დროს მისულა ვიღაც კაცი ხმელ-ხმელი ევროპიულ ტანისამოსიანი, ქაღარა წვერიანი და გამოპლაპარაკებია ქალს, შემდეგ იქვე დუქანში კამფეტები უყიდნია, ორი ქალისათვის მიუცია, ხოლო დანარჩენი ხელში სჭერია და ყმაწვილს ეალერსებოდა. ბოლოს ტყუებით წაუყვანია და მას შემდეგ **ბავშვი დაიკარგა.** ბევრი უძებნიათ, მაგრამ ველარსად ვერ უპოვნიათ. ქალის დედას ჰქვია ნატალია, მამას—ნიკო. სცხოვრობენ საკუთარ სახლში, № 33 შერემეტევის ქუჩაზე.

◆ ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებამ გუშინ, 24 მარტს, გარდასწყვიტა 2000 მან. შემწეობა აღმოეჩინოს **შემახაში** მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ.

წერილი გორიდან

მოგეხსენებათ, რომ ქართული მწიგნობრობის მხრით გორი მეტად ჩამორჩენილად ითვლება. რაც ქართული გაზეთები და წიგნები ქ. განჯას იგზავნება, იმოდენი რიცხვის გაზეთი და წიგნები არამც თუ გორში, არამედ მთელ ქართლშიაც არ მოდის. მიზეზები მრავალ გვარია და მასთან საყურადღებოც. ქართლში, ქართულს მწიგნობრობას არამც თუ გლეხები არ მისდევენ, არამედ თავად-აზნაურებიც-კი.

ასეთი პირობები და გარემოება ყველა შესმენილ ქართველს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს, რადგანაც იგი მრავალ-ნაირად საგრძნობელია და საყურადღებო. მწიგნობრობის წარმატების მხრით ქართლს არამც თუ საგუბერნიო ქ. განჯა უსწრობს წინ, სადაც ქართველთ რიცხვი სულ ახლად მისულ მცხოვრებთაგან შესდგება, არამედ იმერეთის თვით რომელიმე პატარა დაბაც კი მაღლა სდგას ამის მხრივ ქართლსა და ქართლელებზე.

ვერ იქმნა, ვერა ეშველა-რა ქართლის სოფლის მცხოვრებთ შორის ქართული წიგნების გავრცელების საქმეს. თუმცა ქართლი ტფილისზე საკმარისად ახლოს სძევს, მაგრამ რაც შეეხება მწიგნობრობის საქმეს, ეს-კი ისე შორი-შორს გახლავსთ, როგორც ქართლი და ჩინეთი. საქართველოს ყველა შორეულს კუთხეებშიაც კი იდგამს ფეხს ჩვენგან ნანატრი მწერლობის ნიადაგი და ქართლს კი არა ემჩნევა-რა და არა ევლინება-რა. ეს, ბატონებო, მეტად საგრძნობელია და მასთან თითქმის სატირალიც. რათ გვინდა მწიგნობრობა, თუ კი მისი სხივი რომელიმე კუთხეში ასე იქნება მიმქრალებული და წიგნებსა და გაზეთებს ორში კი არა, არამედ ათი-ათასში მხოლოდ ერთი წაიკითხავს?

გორში კარგი ხანია, რაც სტამბა და წიგნის მაღაზიაც არსებობს, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, მისი არსებობა აქ ერთობ ერთნაირს რკალში იქმნა შეზღუდული. მან ქართლის ერზედ დიდი რამ ზე-გავლენა და მოქმედება ვერ იქონია. ეხლა, ამ უკანასკნელ დროს, გორში გაიხსნა მეორე წიგნის მაღაზია, რომელიც ეკუთვნით არჩუაძეს და მაისურაძეს. ამათ წიგნის მაღაზიის გახსნას ერთნაირი სანუკარი დირსება აქვს მიღებული, რაც ყველა ქართველისათვის დიდად საყურადღებო უნდა იყოს. ეს მეწიგნეები გორში, წიგნის მაღაზიის გარეშე, ქართულ წიგნებს კალათით მთელს ქართლის სოფლებში ატარებენ და ყველგან იაფად ჰყიდიან. ისე სადმე რომელიმე ობა არ ჩაივლის, რომ იქ ამათი კაცი, ხელში კალათით და ქართულის წიგნებით, ეკკლესიის მახლობლათ არ იდგეს. ერთის სიტყვით, ამ პირთ უკისრიათ ისეთი საქმე და მისი წარმატება, რაც ყველასთვის დიდს სანატრს დაღადებას უნდა შეადგენდეს. ამათთვის ეხლა მხოლოდ საჭიროა და მეტად საჭირო რიგიანი ქართული წიგნების ტარება და ვრცელება, უამისოდ სხვა რამ უწმაწური წიგნების ტარება კი დიდი დანაშაური და სამწუხარო მოვლენა იქმნება.

გორში ამ მოკლეს დროს გადმოსახლებულ იქმნენ მესხეთიდან რამდენიმე კომლი ქართველი კათოლიკე უმამულო გლეხები. ამ გლეხებს დიდს ხელმძღვანელობას უწევდა გორისავე ქართველთ კათოლიკეთ მოძღვარი დონ გაბრიელ ასლანიშვილი. ეს გლეხნი თითქმის ამ პატიოსან მოძღვრის თაოსნობით გადმოსახლდნენ გორს. აქ მათ ამ მოძღვრისაგან ბევრნაირი მამაშვილური დახმარება და დარიგება დახვდათ და იგინი თითქმის ამ პატიოსანი მოძღვრის ხელის წარმატებით ფიქრობდნენ ქართლში ფეხის გამაგრებას. მაგრამ უცებ მათს ბედს ტროსი შეეცვალა და ამ მოძღვრის გორიდან სხვა ქალაქში გადაყვანას ლაპარაკობენ, რომლის შესახებ ცნობებიც არის მოსული.

ეს გარემოება ხსენებულ გლეხთა პირდაპირი ყელის გამოჭრა არის და მთელის მათის პატარა შვილების დაღუპვა. უცხო ქვეყანას, უცხოთა შორის, ქართველ მესხებმა რა უნდა ჰქნან, თუ მათ სიღატაკესთან ერთად არ ეყოლებათ ისეთი გულ შემატკივარი პატიოსანი მოძღვარი, როგორიც პატრი გაბრიელ ასლანიშვილია, რომელიც ამ დატაკ გლეხთა ოჯახების გამაგრების სასარგებლოდ არას იშურებდა და მათ თითქმის უოველნაირი სახსარი მოუპოვა ქართლში დამკვიდრების და ფეხის გამაგრებისათვის. მეტად დიდი, დიდი უბედურება არის ამ მოძღვრის აქედან სხვაგან წასვლა ხსენებულ დატაკ გლეხთა ცხოვრებისათვის. გლეხებს მან მოუპოვა თ. დ. ერისთავის მამულებზე 200 დესეტინა ადგილები. ამას გარდა, მუქთათ მისცა გორის საეკკლესიო ძველი სახლი და მასთან სხვა-და-სხვა საეკლესიო მამულებიც. ამას გარდა მეთვე მოუპოვა შემწირველობით სახსარი საქონლის მოშენების, ხვნა-თესვის და სხვა-და-სხვა ხელ წასამართ სახსრისა, რაც გლეხთა ცხოვრებისათვის მკურნალ მალამოთ ჩაითვალა და დღეს კი ასეთ პატრონ მამა მოძღვარ მფარველს აქედამ აშორებენ და სხვაგან გადაჰყავთ, რაც, რასაკვირველია, არც ჩვენის საზოგადოებისათვის უნდა იქმნეს სასიამოვნო. ამ საშვილიშვილო საქმისათვის ჩვენმა მამულიშვილმა სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა 1000 მ. შესწირა გლეხებს, რაც დიდს დახმარებათ ჩაითვალა. იმედოვნებენ ეს ახალ მოსახლე გლეხნი, რომ ასეთი მოწყალება მათ სხვათაგანაც არ მოაკლდებათ.

ზ—ია.

სასამართლო

1900 წლის 28 ოქტომბერს, შორაპნის მაზრის ს. ჩუქრუთში, დამით, ლუკა ჯიქიას თავლა გაუტეხია ვიღაცას და გამოუყვანია ერთი ცხენი და ერთი ჯორი. ამ ამბის შემდეგ დაბა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Марта 1902 г.

საჩხერეში ივ. გოდაბრელიძეს უნახავს ჯიქიას ყოფილი მოსამსახურე ნესტორ კუჭუხიძე, რომელსაც მიჰყავდა თურმე თან ცხენი და ჯორი. იმავე კვირაში რაჭის მაზრის სოფ. ზვარეთში თავ. პლატონ ერისთავი შეხვედრია თავ. დავით ერისთავს ჯორზე მჯდომარეს, რომელთან ერთად მოდიოდა თურმე უცნობი კაცი ცხენით. ეს კაცი დავით ერისთავმა გააცნო პლატონ ერისთავს, როგორც ზურაბ წერეთელი. მეორე დღეს სოფ. გლოლას სოფლის სასამართლოში მისულან დავით ერისთავი და ზურაბ წერეთელი ნესტორ კუჭუხიძესთან ერთად, რომ ნაყიდობის ქაღალდი შეესრულებინათ, რადგანაც ცხენი უყიდნია პავლია ბიჭაშვილს და ჯორი სიმონ სულთანიშვილს. ქაღალდზე ხელი მოუწერია დავით ერისთავს. შემდეგში გამოძიებით აღმოჩნდა, რომ ეს ცხენი და ჯორი მოტაცებული იყო ჯიქიას თავლიდან.

პასუხის გებაში ამ საქმისა გამო მიუციათ— საჩხერის ნაწილის სოფელ ჭალის მცხოვრები ზურაბ ალექსანდრეს ძე წერეთელი, რაჭის მაზრის მცხოვრები თავ. დავით ბესარიონის ძე ერისთავი და ნესტორ კუჭუხიძე. არც სასამართლოში და არც გამომძიებელთან ბრალდებულთ თავი დამნაშავედ არ უცვნიათ. კუჭუხიძეს განუცხადებია, რომ იგი რაჭაში არ ყოფილა და არ იცნობს არც ერისთავს და არც ზურაბ წერეთელს; წერეთელს სასამართლოში განუცხადებია, რომ სოფ. ზვარეთში თავ. ერისთავისას მასთან დამეგზავრა ერთმა კაცმა, რომელმაც ნესტორ იაშვილად აღიარა თავის-თავი და რომელმაც გაჰყიდა ცხენი და ჯორი და ნაყიდობის ქაღალდი-კი მყიდველს არ გადასცა. წერეთლის სიტყვით, ნესტორ იაშვილი სახით არა ჰგავს ნესტორ კუჭუხიძეს. დავით ერისთავს თავის მხრით განუცხადებია, რომ მასთან მოვიდნენ წერეთელი და უცნობი კაცი, რომელიც ნესტორ იაშვილად გაეცნო. მათის თხოვნით გაჰყვა მათ სოფელ გლოლაში და ცხენი და ჯორი გაუყიდვინა და, რადგანაც მყიდველები არ იცნობდნენ წერეთელსა და იაშვილს, ნაყიდობის ქაღალდი მისცა. მოწმეებს კირვალიძესა და პოლიკარპე ბოჭორიშვილს განუცხადებიათ, რომ ცხენი და ჯორი გასასყიდად მიიყვანეს გლოლაში წერეთელმა და უცნობმა კაცმა, რომელიც ნესტორ იაშვილს ირქმევდა და რომელიც ბრალდებული ნესტორ კუჭუხიძეა. როგორც საქმიდან სჩანს, ზურაბ წერეთელი წინადაც ცხენების ქურდობაში შენიშნული ყოფილა, რისთვისაც სასამართლოს გარდაუწყვეტია მისთვის ყოველივე განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა და ციხეში დაპატიმრება.

პირველად ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს დ. თავ. დავით ერისთავი უდანაშაულოდ უცვნია, ხოლო წერეთლისა და ნესტორ კუჭუხიძისათვის მიუსჯნია პირველისათვის 2 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა და მეორესათვის ყოველივე განსაკუთრებულ უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და $2\frac{1}{2}$ წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმშივე გაგზავნა.

ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებიათ ტფილისის სამოსამართლო პალატაში, სადაც 23 მარტს გაირჩა. ბრალდებულთაგან თავ. ერისთავისა და ზურაბ წერეთელს იცავდა ფარნაოზ კიკნაძე, რომელმაც ითხოვა ერისთავის შესახებ სასამართლოს განაჩენის დამტკიცება და წერეთლის გამართლება. პალატამ, როგორც გუშინაც გვქონდა აღნიშნული, კუჭუხიძის შესახებ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, ერისთავი ამ საქმეში სრულიად გაამართლა, ხოლო წერეთელს 2 წლის სასჯელი 6 თვით ციხეში დაპატიმრებად შეუცვალა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

23 მარტი

პეტერბურგი. შესდგა კრება წისქვილების პატრონთა ურთიერთ შორის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებისა.—სამთო ინჟინერთა საზოგადოებაზე პროფესორმა ვოისლოვმა წარუდგინა პროექტი უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებელში სწავლის რეორგანიზაციის შესახებ. ამ პროექტით მოსწავლეთ მიეცემათ საშუალება თვითონ აირჩიონ საგნები. მოსწავლეთ გამოსცდის მმართველობის კომისია ცალკ-ცალკე საგნებში.

მარიუპოლი. თავად-აზნაურთა წინამძღოლმა კამენსკიმ წაიკითხა ლექცია მოუსავლობისაგან დაზიანებულთა სასარგებლოდ.

კალუგა. მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა კრიუკოვმა თავად-აზნაურთა დარბაზში წაიკითხა ლექცია შესახებ სამეურნეო ნაწარმოებთა ინგლისში გაზიდვისა.

ვარშავა. კალიშის, რადომსკის და კელეცკის გუბერნიებში მყოფ ტორფის ქარხნების მრეწველებმა თხოვნა წარუდგინეს შესახებ იმისა, რომ დიდი ბაჟი დაადვან ავსტრიიდან შემოტანილ ტორფს.—საერო საკრედიტო საზოგადოებამ საჯაროთ გასაყიდად დანიშნა 28 მამული.

სიმბირსკი. ადგილობრივი სამეურნეო საზოგადოება აგვისტოს დამლევს ჰმართავს სიმბირსკში ხილეულობის გამოფენას.

უფა. ღამე თოფის წამლის საწყობის ახლო, საყარაულოში ცეცხლმა იფეთქა. ერთი ჯარის კაცი მოკლულია, ორი—ძლიერ დამწვარი, ორი—უფრო მსუბუქად.

ბერლინი. რუსეთში ცნობილი ექიმი, პროფესორი ლეიდენი, 20 აპრილს დღესასწაულობს თავის დაბადების დღეს. ამ დღეს შესრულდება 70 წლისა.

იერუსალიმი. რუსების ტაძარში გუშინ გადიხადეს პარაკლისი იმის გამო, რომ გამოცემულ ბრძანების ძალით, რუსეთსაც ეძლევა იგივე უფლებანი შესახებ სასწავლებლების შენობებისა, რაც საფრანგეთმა შეიძინა. 5,000 კაცზე მეტი დაესწრო.

ლოძი. კალიშის რკინის გზაზე სადგურებს სერაძესა და ზადუნსკათა ვალის შუა მუშაობა ისევ დაიწყეს.

ლონდონი. სესილ როდსმა უანდერძა ოქსფორდის უნივერსიტეტს ფული სტიპენდიების დასაარსებლად. ეს სტიპენდიები უნდა მიეცეს ინგლისის კოლონიებისა და ამერიკის სტუდენტებს. გარდა ამისა როდსმა დააწესა, იმავე უნივერსიტეტში გერმანელ სტუდენტებისათვის 15 სტიპენდია, რასაც ასაბუთებს იმით, რომ ინგლისსა, ამერიკასა და გერმანიას შუა შეთანხმება უნდა არსებობდესო, რათა იქმნას დაცული საყოველთაო მშვიდობიანობაო.

კონსტანტინეპოლი. უსკიუბიდან იტყობინებიან, რომ იპეკში უწესოება მოხდა. არნაუტები თავს დაესხნენ სასახლესა და ტელეგრაფის სადგურს. მოხელეები ტყვედ წაიყვანეს და დეპეშა გაგზავნეს სულთანის სასახლეში, რომლითაც მოსთხოვეს დატუსაღებულ ალბანელთა განთავისუფლება.

ბელგრადი. საერო კრებამ დაადგინა, რომ სერბიის მხედრობა მშვიდობიანობის დროს შესდგებოდეს 12,000 კაცის—17000 ჯარის კაცისაგან.

პარიჟი. გაზეთი „ეკონომიური მიმოხილვა“ ამბობს: რუსეთის სესხის მარჯვე განაღდება გერმანიაში და ჰოლანდიაში ამტკიცებს, რომ რუსეთის კრედიტი დაფუძნებული არ არის რომელიმე ერის გრძნობაზე, არამედ უფრო მტკიცე გარემოებაზე, სახელდობრ იმაზე, რომ რუსეთის ფინანსი კარგ მდგომარეობაში ჰგონიათ.

სევასტოპოლი. მოვიდა ახლად დანიშნული გრადონაჩალნიკი გენერალი ხვოსტოვი.

ვენა. „ნეი-ფრ.-პრესი“ სწერს კალიშში მომხდარ შეტაკების შესახებ, რომ იმ საზღვარზე ყოველ გაზაფხულს ემზადებიან ასაჯანყებლად. ავსტრუ-უნგრეთი და რუსეთი ვალდებულნი არიან ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, რადგან ორივე სახელმწიფო შეთანხმებით მოქმედებენ. რუსეთის რჩევით, ოსმალეთის მთავრობამ ჯარები გაგზავნა საზღვარ-გარედ, რათა შეუშალონ ხელი სერბიელ შეიარაღებულ ბრბოთა შემოსვლას მაკედონიაში. უეჭველია, ავსტრო-უნგრეთის მთავრობა თავის მხრივ ურჩევს სერბიის მთავრობას თვალ-ყური ადევნოს თავის საზღვარს.

იმედი აქვთ, რომ ამ გზით აჯანყებას მოსპობენ.

24 მარტი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია მოკლე ანგარიში თავადი ობოლენსკისა, რომელიც უმაღლესის განკარგულებით გაგზავნილი იყო შემახაში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა მდგომარეობის გამოსარკვევად.—მილანში მყოფი რუსეთის ელჩი სთხოვს რუსეთის გამოჩენილ ვაჭრებს, რომელნიც ვაჭრობენ ხარის და ცხენის ტყავებით, გამხმარი სისხლით და ჯაგარით, შეატყობინონ ელჩს თავისი ადრესები და პირობანი იტალიის ვაჭართათვის გარდასაცემად. ყაზანის, ნოვგოროდის, ირბიტის და პეტროპავლოვსკის ვაჭართ, რომელნიც ვაჭრობენ ცხენის ძუა-ფაფარით, შეუძლიანთ თავიანთი პირობები აცნობონ ფინანსთა სამინისტროს აგენტს ლონდონში ტატიშჩევს.—23 მარტს ხელმწიფემ მემკვიდრითურთ დაათვალიერა უმთავრეს ინტენდანტის მმართველობის სატეხნიკო კომიტეტი—23 მარტს დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დაათვალიერა კრესტოვოზდვიჟენის საკრებულოს საავადმყოფო.—23 მარტს მემკვიდრემ დაათვალიერა პრეობრაჟენსკის პოლკის საავადმყოფო.— 23 მარტს დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ საუზმეზე მიიწვია მარშანი და სოვაჟი. — 22 მარტს სეგარის ლექციებს დაესწრო დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

კალუგა. საგუბერნიო მმართველობამ მისწერა საერობო მმართველობას და სამაზრო პოლიციას გაზაფხულზევე მიიღონ ზომები წინააღმდეგ ციმბირის ჭირის ხელახლად გავრცელებისა.

როსტოვი დონზე. ყმაწვილებზე მზრუნველი საზოგადოება ჰმართავს საზაფხულო კოლონიას ყმაწვილების თავშესაფარად.

ლონდონი. 18 მარტს დარიკულთან ბრძოლის დროს ბურებს მოუკლეს და დაუჭრეს 137; დელარეისთან ბრძოლაში ინგლისელებს მოუკლეს 3 ოფიცერი და 24 ჯარის კაცი, დაუჭრეს 16 ოფიცერი და 131 ჯარის კაცი.

ბერლინი. განსაცვიფრებელის სისწრაფით დაიტაცეს რუსეთის ახალის სესხის ობლიგაციები. მოთხოვნილება ასჯერ აღემატება სესხის რაოდენობას. 30 მილიარდ მარკამდე ასულმა ხელის-მოწერამ თავ-რეტი დაასხა ბერლინელებს. ჟურნალ-გაზეთები და საზოგადოება ამ უჩვეულებრივო მოვლენას აწერენ ევროპიის სრულს ნდობას რუსეთისადმი, რომლის პოლიტიკა სავსეა მშვიდობის მოყვარეობით და შეურყეველია მისი ფინანსიურ მდგომარეობა.

კონსტანტინეპოლი. პორტამ მაკედონიის საშიშ ადგილებში დააყენა ოც-ოცი და ზოგან მეტი ჯარის კაცები. ჰფიქრობენ, ამ საშუალებით დაიცვან მყუდროება.

ბელგრადი. მაღალ წრეებში განგებ დამახინჯებულ ფაქტად ჰთვლიან „ნეი-ფრეი—პრესსის“ ცნობას შესახებ იმისა, რომ ვითომ სერბიაში არიგებდნენ ბრბოებს და ფარულად შემოჰქონდეთ იარაღი. სერბიის მმართველობა ყოველ ღონისძიებასა ხმარობს, რომ დაცულ იქმნას საზღვრებზე მშვიდობიანობა და ეწინააღმდეგება ყოველ განძრახვათ, რომელიც მის ოანამენამულეთ საშიშ მდგომარეობას უქადის. მეფე დასთანხმდა ფინანსთა მინისტრის სამსახურიდან გადადგომას.

ადენი. მეფე ედუარდ მეVII-ს დაგვირგვინებაზე დასასწრებლად მენელიკის წარმომადგენლად იქმნება რას მაკონენი.

ლონდონი. ინგლისელებს 18 მარტის ბრძოლის დროს ბომმანსკოპში მოუკლეს 20 კაცი და დაუჭრეს 56.

გლაზგო. ინგლისელთა და შოტლანდიელთაგან ბურთის თამაშობის დროს მაყურებლებმა ბარიერი გაანგრიეს. 3 კაცი მოკვდა და 50 დაშავებულია.

ეკატერინოსლავი. საბჭომ დაამტკიცა კომისიის მოხსენება შესახებ ახალი წყლის მილის გაყვანისა ქალაქის ხარჯით. ეღირება $2\frac{1}{2}$ მილიონი მანეთი.

ასხაბადი. 1900 წელს დაარსებული „ასხაბადის მაზრის ღარიბ თექელთა დამხმარებელი საზოგადოება“ მოისპო, რადგან საწევრო ფული არავის არ შეჰქონდათ.

პარიჟი. საფრანგეთი მაინცა და მაინც ხამი არ არის სესხის მსწრაფლად განაღდებისა, ამისათვის იმ გარემოებას, რომ რუსეთის სესხი ადვილად განაღდდა გერმანიისა, ჰოლანდიისა და რუსეთის ბირჟებზე, სრულიადაც არ გაუკვირვებია საფრანგეთი. სესხის განაღდებაში გამარჯვება ამტკიცებს რუსეთის კრედიტის კარგ მდგომარეობას და უცხო სახელმწიფოთა ბაზრების მოთხოვნილებას, რომლებსაც ჰსურთ ფული მოათავსო საიმედო ხელში.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 23 მარტს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,75	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	$4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96\frac{5}{8}$	გაყიდ.
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	$98\frac{3}{4}$	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	464	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	351	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	303	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—	
$4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) **ტფილისიდან ბათუმისაკენ:** 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.).

ბ) **ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე** 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის [illegible] ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლი მარტიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქ გარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **5** მან. და **25** კაპ. (კაპეიკები ფოსტის მარკებით შეიძლება გამოიგზავნოს).

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ორშაბათს, 25 მარტს, გაიხსნება ტფილისში, მადათოვის კუნძულზე,
ფ. ი. ფეცის დიდი მუზეუმი.
მუზეუმში 100-მდე სხვა-და-სხვა საგანია. მრავალი ახალი სანახავი! სცენაზე ბევრი ახალი სანახავია პარიზიდან: 1) დაფნა, დევნილი აპოლონისაგან; 2) გალატეა, მარმარილოს პატარძალი და სხვა. მუზეუმი გახსნილია ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 11-მდე; წარმოდგენების დასაწყისი ნაშუადღევის 2-დან. დაწვრილებით იხ. აფიშებში. (20—6)

Дозволено цензурою Тифлисъ, 24 Марта 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი [illegible] წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.